დუშეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

ქ. დუშეთი 10 ივნისი 2011 წელი

15:00 სთ.

კომისიის თავმჯდომარე:

ცარო სამაგლიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

ნინო თუჯიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი კომისიის მდივანი;

ზურაბ ოტიაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ისაკ კარიაული - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

ნიკო დუდაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

შალვა ინაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

ლაშა შარაშიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი;

ჯიმი ჭელიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

კომისიის აპარატი:

დალი ნამგალაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო ნატრაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა ლაშა შარაშიძე, ჯიმი ჭელიძე და ნინო თუჯიშვილი საპატიო მიზეზით.

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (N85) - ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩის და ცენტრალური მოედნის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების

საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა - წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა.

/ც. სამაგლიშვილი/

მოისმინეს:

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N 85-ე საკონკურსში, ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩისა და ცენტრალური მოედნის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაზე - შემოსულია ორი კონკურსანტის შპს „ სინათლე -2006 ის" და შპს „გზაპროექტის" საკონკურსო წინადადება, საჭიროა მოვახდინოთ საკონკურსო წინადადებების შერჩევა.

გაიხსნა კონკურსში მონაწილე კონკურსანტების საკონკურსო წინადადებათა პაკეტები, რომლებიც წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ კონკურსანტებმა კომისიის წევრებს გააცნეს საკუთარი მოსაზრებები საკონკურსო წინადადებების შესახებ და უპასუხეს კომისიის წევრების შეკითხვებს.

აზრი გამოთქვეს:

ნიკო დუდაურმა - საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია გახსნას და შეარჩიოს საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გამარჯვებულის გამოსავლენად კი საჭიროა კომისიამ შეისწავლოს ორივე საკონკურსო წინადადება. საჭიროდ მიმაჩნია დაინიშნოს თარიღი გამარჯვებულის გამოსავლენად.

მის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრები.

დაადგინეს:

1. მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (N85) - ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩისა და ცენტრალური მოედნის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადება - გამარჯვებულის გამოვლენა მოხდეს 2011 წლის 15 ივნისს 12 საათზე.
2. კონკურსის შედეგების შესახებ საკონკურსო კომისიის ოქმი აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე.

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

/ც. სამაგლიშვილი/

/ზ. ოტიაშვილი/

/ჯ. ჭელიძე/

/ი. კარიაული/

/ნ. დუდაური/

/შ. ინაშვილი/